

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასწავლო კურსის სილაბუსი

სასწავლო კურსის სახელწოდება : ლანდშაფტმცოდნეობა

სასწავლო კურსის კოდი : Z.I.G.10

ლექტორები: ელიზბარ ელიზბარაშვილი, პროფესორი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, გეოგრაფიის კათედრა, ტელ: 599-73-58-86, e-mail : eelizbar@hotmail.com კონსულტაციების დრო და ადგილი: ყოველი სასწავლო კვირის სამშაბათი, 12 საათიდან თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსის IV სართული, გეოგრაფიის კათედრა

ნანა ბერძენიშვილი, ასისტენტ-პროფესორი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, გეოგრაფიის კათედრა, ტელ: 598950732.

კრედიტების რაოდენობა (ECTS):: 5 კრედიტი, (125სთ.) საკონტაქტო 45სთ. მათ შორის: 15სთ. ლექცია; 30სთ. პრაქტიკული. დამოუკიდებელი მუშაობისთვის 80სთ.

სასწავლო კურსის სტატუსი: სავალდებულო-არჩევითი კურსი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის სპეციალობის სტუდენტებისათვის ბაკალავრიატში VI სემესტრში და დამატებითი (მინორ) სპეციალობის « გარემოსმცოდნეობა » სტუდენტებისათვის VII სემესტრში.

სასწავლო კურსის მიზნები: კურსის მიზანია ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების(ბტკ) ფორმირების, განლაგების, განვითარების და დინამიკის კანონზომიერებების შესწავლა. ძირითადი ამოცანებია ლანდშაფტმცოდნეობის ძირითადი ცნებების განხილვა და ლანდშაფტთა კლასიფიკაციის სისტემების გაცნობა.

სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები: ზოგადი დედამიწათმცოდნეობა

სასწავლო კურსის სწავლის შედეგები :

ცოდნა და გაცნობიერება	აღიქვამს და ესმის დედამიწაზე მიმდინარე პროცესები და პლანეტაზე მათი გავლენის შედეგები სივრცესა და დროში აცნობიერებს დედამიწაზე არსებული სისტემების	იცნობს ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების(ბტკ) ფორმირების, განლაგების, განვითარების და დინამიკის კანონზომიერებებს, აცნობიერებს დედამიწაზე არსებული სისტემების განვითარების ძირითად თავისებურებებს, მათ ფარგლებში
-----------------------	---	---

	განვითარების ძირითად თავისებურებებს	მიმდინარე პროცესებს, აკვირდება ბუნებრივ გარემოს და აღიქვამს მასში მიმდინარე პროცესებს. მსჯელობს ზოგად სივრცით და დროით კონტექსტში.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ შეასრულოს მარტივი დავალებები	იცნობს და იყენებს რუკაზე და ველზე მუშაობის წესებს. ახდენს სივრცეში ორიენტაციას საველე მუშაობის დროს ლანდშაფტური და ტოპოგრაფიული რუკებისა და სხვა საშუალებების გამოყენებით

სასწავლო კურსის შინაარსი:

1-3 კვირა

თემა1. ცნება ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსის შესახებ (ლექცია-3სთ. პრაქტ.6სთ.)..

გეოგრაფიული კომპონენტები. ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსები. ბტკ და გეოსისტემა. გეოგრაფიული და ეკოლოგიური მიდგომები. ფიზიონომიური და არაფიზიონომიური კომპონენტები. ბტკ-ს გამოყოფა.(ლიტერატურა[1] გვ.3-12)

4 კვირა

თემა2. ლანდშაფტმცოდნეობა, როგორც მეცნიერება (ლექცია-1სთ. პრაქტ.2სთ.)..

ლანდშაფტმცოდნეობის სტრუქტურა. ლანდშაფტების ეკოლოგია და პერცეპცია. გეოგრაფიის დარგობრივი და კომპლექსური დისციპლინები (ლიტერატურა[1] გვ.12-14).

5-6 კვირა

თემა3. ლანდშაფტმცოდნეობის ისტორიიდან (ლექცია-2სთ. პრაქტ.4სთ.)..

ლანდშაფტმცოდნეობის წარმოშობა. მისი განვითარების ძირითადი ეტაპები. ქართული ლანდშაფტური სკოლა (ლიტერატურა[1] გვ.14-18).

7-11 კვირა

თემა4. ლანდშაფტების მორფოლოგია (ლექცია-5სთ. პრაქტ.10სთ.).

ფაციესი, ურიჩიშჩე, სანახი და ადგილი. ლანდშაფტი და ლანდშაფტური ნაკვეთი (ლიტერატურა[1] გვ.14-31, [3]).

12-13 კვირა

თემა5. ლანდშაფტების კლასიფიკაცია(ლექცია-2სთ. პრაქტ.4სთ.).

ზოგადი პრინციპები. ინდუქციური და დედუქციური მეთოდები. კლასიფიკაციის კრიტერიუმები, ლანდშაფტის კლასი, ქვეკლასი, ტიპი, ქვეტიპი, გვარი, სახე (ლიტერატურა[1] გვ.31-37[3].)

14-15 კვირა

თემა6. კავკასიის ლანდშაფტების კლასიფიკაცია (ლექცია-2სთ. პრაქტ.4სთ.).

კავკასიის ლანდშაფტური რუკა. ლანდშაფტური დიფერენციაციის მთავარი ფაქტორები. კავკასიის ძირითადი ლანდშაფტები. კავკასიის ლანდშაფტური ზონალობის ცხრილი (ლიტერატურა[1] გვ.38-48; [2] გვ.10-25, [3]).

სწავლებისა და სწავლის მეთოდები: ლექცია, სემინარი, პრაქტიკული, წერიტი და ზეპირი გამოკითხვა, კოლოკვიუმი, პრეზენტაცია

შეფასების კრიტერიუმები: (იხ. <http://tesau.edu.ge/?p=3848#more-3848>)

შეფასების 100% გადანაწილება შემდეგი სახით:

შუალედური შეფასება _ მაქსიმალური 60%

მათ შორის: 2 წერიტი სამუშაო – 30% (15% X 2).

პირველი წერა ჩატარდება სემესტრის I ნახევარში, მეორე – სემესტრის ბოლოს. წერის თარიღსა და თემატიკაზე სტუდენტები წინასწარ იქნებიან ინფორმირებულნი. წერის ხანგრძლივობა 50 წთ.

4 სემინარული მეცადინეობა _ 20% (5% X 4).

ეს 20% უნდა დაგროვდეს მთელი სემესტრის განმავლობაში სემინარებზე მონაწილეობით.

1 ზეპირი პრეზენტაცია _ 10%.

საპრეზენტაციო თემას სტუდენტები შეარჩევენ საკუთარი სურვილით გავლილი თემატიკიდან, ხოლო პრეზენტაციის თარიღსა და დროს შეათანხმებენ პროფესორთან. რეგლამენტი 10-15 წთ.

დასკვნითი გამოცდა _ მაქსიმალური 40%

დასკვნითი გამოცდა ჩატარდება, როგორც წესი, წერიტი სახით. G გამოცდის ხანგრძლივობა 2 სთ.

შეფასებები არსებობს შემდეგი სახის:

ა) (A) ფრიადი _მაქსიმალური შეფასება 91% და მეტი

ბ) (B) ძალიან კარგი _ მაქსიმალური შეფასების 81-90%

გ) (C) კარგი _ მაქსიმალური შეფასების 71-80%

დ) (D) დამაკმაყოფილებელი _ მაქსიმალური შეფასების 61-70%

ე) (E) საკმარისი _ მაქსიმალური შეფასების 51-60%

უარყოფითი შეფასებებია:

ა) (FX) ვერ ჩააბარა _ მაქსიმალური შეფასების 41-50% (აქვს დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება)

ბ) (F) ჩაიჭრა _ მაქსიმალური შეფასება 40% და ნაკლები (საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი)

ძირითადი ლიტერატურა . 1. ბერუჩაშვილი, ნ., (1992), ლანდშაფტმცოდნეობა, თბილისი, თსუ, თესაუ ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზი.

3. ბერუჩაშვილი, ნ., კავკასიის ლანდშაფტური რუკა, თესაუ გეოგრაფიის კაბინეტი.

დამხმარე ლიტერატურა : 2.Элизбарашвили, Э.Ш., Элизбарашвили, М.Э. ,(2006), Основные проблемы климатологии ландшафтов, Тбилиси, Зеон, თესაუ ბიბლიოთეკა